ტესტი მუსიკაში

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან: I მოსმენის ნაწილი; II დახურული და ღია დავალებები, რომელიც მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი.

მოსმენის ნაწილისათვის გამოყოფილია განსაზღვრული დრო. ტესტის ელექტრონულ ბუკლეტში თითოეული დავალების შესაბამის ინსტრუქციაში მითითებულია დავალების შესრულებისათვის განკუთვნილი კონკრეტული დრო.

დარჩენილი დრო თქვენი შეხედულებისამებრ გადაანაწილეთ ტესტის II ნაწილის დავალებებზე.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I მოსმენის ნაწილი

მოსმენის ნაწილი აერთიანებს ათ დავალებას.

დავალებები 1-6.

<u>ინსტრუქცია</u>. პირველი ექვსი დავალების შესრულება ითვალისწინებს მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენას და შესაბამის კითხვებზე პასუხების გაცემას. თითოეული დავალებისათვის განკუთვნილია ერთი მუსიკალური ფრაგმენტი და ორი კითხვა. ყოველ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. აირჩიეთ და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ ერთი სწორი პასუხი.

თითოეულ მუსიკალურ ფრაგმენტს მოისმენთ ორჯერ. პირველსა და მეორე მოსმენას შორის ინტერვალი 20 წამია.

ყოველი დავალებისათვის განკუთვნილი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გეძლევათ 10 წამი, რათა წაიკითხოთ დავალების კითხვები.

დავალებები მოცემულია მომდევნო გვერდიდან.

დავალება 1.

პირველი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (1.1 და 1.2):

1.1 რომელი კუთხის სიმღერაა?

ა) სვანეთი

ბ) კახეთი

გ) გურია

დ) სამეგრელო

1.2 რა ჟანრის სიმღერაა?

ა) სატრფიალო

ბ) საცეკვაო

გ) შრომის

დ) სამკურნალო

დავალება 2.

მეორე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (2.1 და 2.2):

2.1 რა ჟანრის ნაწარმოებია?

ა) სიმფონია

ბ) კვარტეტი

გ) სიმფონიური უვერტიურა

დ) კონცერტი

2.2 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) ოთარ თაქთაქიშვილი

ბ) სულხან ცინცაძე

გ) ალექსი მაჭავარიანი

დ) ანდრია ბალანჩივაძე

დავალება 3.

მესამე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (3.1 და 3.2):

3.1 რომელი ოპერიდან ჟღერს ფრაგმენტი?

ა) „ტურანდოტი“

ბ) „კარმენი“

გ) „ლოენგრინი“

დ) „რიგოლეტო“

3.2 რომელი ხმა ასრულებს სოლისტის პარტიას?

ა) ალტი

ბ) სოპრანო

გ) კოლორატურული სოპრანო

დ) მეცო სოპრანო

დავალება 4.

მეოთხე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (4.1 და 4.2):

4.1 რომელი ჟანრის ნაწარმოების ფრაგმენტია?

ა) ოპერა

ბ) ბალეტი

გ) სიმფონია

დ) ოპერეტა

4.2 რა საშემსრულებლო შემადგენლობა ასრულებს ფრაგმენტს?

ა) სიმფონიური ორკესტრი

ბ) კამერული ორკესტრი

გ) ჩასაბერ საკრავთა ორკესტრი

დ) კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლი

დავალება 5.

მეხუთე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (5.1 და 5.2):

5.1 რომელი ეპოქის მუსიკა ჟღერს?

ა) ბაროკო

ბ) რენესანსი

გ) შუა საუკუნეები

დ) XIX საუკუნე

5.2 რა მუსიკალური წყობაა?

ა) ჰეტეროფონია

ბ) პოლიფონია

გ) ჰომოფონია

დ) მონოდია

დავალება 6.

მეექვსე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (6.1 და 6.2):

6.1 რომელი სტილის მუსიკა ჟღერს?

ა) ნეოკლასიციზმი

ბ) იმპრესიონიზმი

გ) კლასიციზმი

დ) ექსპრესიონიზმი

6.2 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) ბელა ბარტოკი

ბ) არნოლდ შონბერგი

გ) იგორ სტრავინსკი

დ) სერგეი პროკოფიევი

დავალება 7.

<u>ინსტრუქცია</u>. მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტი; სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილი კილოს შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ სწორი პასუხი.

კილოს მოისმენთ ორჯერ.

მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:



დავალება 8.

<u>ინსტრუქცია</u>. მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტი; სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილი რიტმული ფიგურაციის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ სწორი პასუხი.

რიტმულ ფიგურაციას მოისმენთ ორჯერ.

მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:



დავალება 9.

მელოდიური კარნახი.

<u>ინსტრუქცია</u>. მოუსმინეთ მელოდიას და ჩაწერეთ სანოტო სისტემაზე. მელოდია ერთხმიანი, რვატაქტიანი და ერთტონალურია. მელოდიის მოსმენისა და ჩაწერისათვის გეძლევათ 15 წუთი. მელოდიას ისმენთ აუდიო ჩანაწერში ოთხჯერ; ყოველ მომდევნო მოსმენას შორის ინტერვალი 2 წუთია.

<u>ჩაწერილი მელოდია გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაზე.</u>

დავალება 10.

მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი

<u>ინსტრუქცია</u>. დავალება ითვალისწინებს მუსიკალური ნაწარმოების გაანალიზებას მოცემული საკითხების მიხედვით, აუდიო და სანოტო ჩანაწერების საფუძველზე.

მუსიკალური ნაწარმოების ჩანაწერს მოისმენთ სამჯერ; ყოველ მომდევნო მოსმენას შორის ინტერვალი 2 წუთია. ჩანაწერის მოსმენამდე გეძლევათ 30 წამი, რათა გადახედოთ დავალების კითხვებს.

(კითხვები მოცემულია მომდევნო ორ გვერდზე).

1. რომელ მუსიკალურ ჟანრს ეკუთვნის მოცემული ფრაგმენტი? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

2. დაადგინეთ:

ა) მუსიკალური ფრაგმენტის ფორმა 1-დან მე-16 ტაქტის ჩათვლით;

ბ) მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტის საწყისი ტონალობა;

გ) მე-13-დან მე-16 ტაქტის ჩათვლით მოცემულ საკადანსო ბრუნვაში შემავალი აკორდების ჰარმონიული ფუნქციები.

3. დაახასიათეთ, როგორ ვითარდება მუსიკალური ფრაგმენტის მხატვრულ-ემოციური მხარე; გააანალიზეთ და მოკლედ აღწერეთ, მუსიკალური გამომსახველობის რომელი ხერხები (როგორი სახის მელოდია, რიტმი, ტემპი, ტემბრი, ჰარმონია, კილო-ტონალობა, ფაქტურა და ა.შ) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუსიკალური ფრაგმენტის მხატვრული შინაარსის შექმნისათვის.

4. მოსმენილი ფრაგმენტის მუსიკალური მახასიათებლების საფუძველზე, დაადგინეთ ნაწარმოების შექმნის ეპოქა, სტილი და კომპოზიტორის ვინაობა.

5. განიხილეთ ნაწარმოების ისტორიულ-კულტურული კონტექსტი (მოკლედ დაახასიათეთ კომპოზიტორის შემოქმედება და გამოყავით ამ ჟანრის მნიშვნელობა მის შემოქმედებაში; აღნიშნეთ ნაწარმოების მუსიკალურ-მხატვრული კონტექსტის თავისებურება).

(მუსიკალური ფრაგმენტის სანოტო ჩანაწერი მოცემულია მომდევნო გვერდებზე).


Passionato.
f
Ped.
sf
ff
mf


sf
sf
sf
sf
ff


Agitato.
f
sf
sf
sf
sf
sf
sf
Ped.
Ped.
Ped.
Ped.
Ped.
Ped.


sf
sf
sf
Ped.
Ped.
Ped.
Ped.
Ped.


a tempo
sf
ritenuto
ritard.
Ped.
Ped.
Ped.
Ped.
Ped.
D.S.


Con affetto.
ff
Piu presto molto espressivo.
p


Tempo I.
ff
f
ff

II ნაწილი

დავალებები 11-18.

<u>ინსტრუქცია</u>. სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა მონიშნეთ პასუხების ფურცელზე X ნიშნით.

დავალება 11.

ევროპის რომელ ქალაქში შეიქმნა ოპერის ჟანრი?

ა) პარიზი

ბ) ფლორენცია

გ) ვენა

დ) ბარსელონა

დავალება 12.

რომელი მახასიათებელი *<u>არ შეესატყვისება</u>* მუსიკალური რომანტიზმის სტილს?

ა) მუსიკისა და პოეზიის მხატვრულ სახეთა სინთეზი

ბ) ლირიკული საწყისის უპირატესობა

გ) ინსტრუმენტული ტემბრის პერსონიფიკაცია

დ) გმირულ-დრამატული სიმფონიზმი

დავალება 13.

რა ჟანრს მიეკუთვნება კამილ სენ-სანსის ნაწარმოები „ცხოველთა კარნავალი“?

ა) სიმფონია

ბ) სიუიტა

გ) სიმფონიური უვერტიურა

დ) კონცერტი

დავალება 14.

რომელია ნელი ტემპის აღმნიშვნელი მუსიკალური ტერმინი?

ა) Moderato

ბ) Adagio

გ) Allegro

დ) Presto

დავალება 15.

რომელია სიმფონიური ნაწარმოები, რომელშიც გამოყენებულია სპირიჩუელსის თემა?

ა) გუსტავ მალერის სიმფონია №1 „ტიტანი“

ბ) კლოდ დებიუსის სიმფონიური ტრიფტიქი „ნოქტიურნები“

გ) ანტონინ დვორჟაკის სიმფონია №5 „ახალი სამყაროდან“

დ) მორის რაველის სიმფონიური პიესა „ბოლერო“

დავალება 16.

რომელი პროგრამული დასათაურება *<u>არ შეესაბამება</u>* ედვარდ გრიგის სიმფონიურ სიუიტა „პერ გიუნტს“?

ა) „ანიტრას ცეკვა“

ბ) „მთის მეფის გამოქვაბულში“

გ) „სირინოზები“

დ) „დილა“

დავალება 17.

რა ღვაწლი *<u>არ მიუძღვის</u>* ქართველ ქველმოქმედ დავით სარაჯიშვილს?

ა) ქართველ დამწყებ კომპოზიტორთა და შემსრულებელთა სწავლების დაფინანსება

ბ) თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დაარსება

გ) ნიჭიერ მუსიკოსთა გამოსავლენად კომიტეტის შექმნა

დ) თბილისის მუსიკალური სასწავლებლის დაარსებაში მონაწილეობა

დავალება 18.

რა არის ორატორია?

ა) ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები, ლიბრეტოთი, კოსტუმებითა
და დრამატული დადგმით

ბ) საგალობლების ციკლი, სოლისტი ვოკალისტების, გუნდისა და
ორკესტრისათვის

გ) ვრცელი ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები, რომელშიც გადმოცემულია
ქრისტეს ვნებანი

დ) სასულიერო ან საერო ისტორიის ამსახველი ვოკალურ-ინსტრუმენტული
ნაწარმოები, დრამატული დადგმის გარეშე

დავალებები 19 - 22.

ნოტიდან აგება

<u>ინსტრუქცია</u>. ააგეთ <u>ლა ნოტიდან</u> მოცემული ინტერვალი, სამ- და ოთხხმიანი აკორდები, კილო და ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში:

19. პატარა ტერცია;

20. მაჟორული კვარტსექსტაკორდი;

21. მცირე მაჟორული სეპტაკორდი;

22. მელოდიური მინორი.

დავალებები 23 - 25.

შესაბამისობის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დავალებაში მოცემულია ჩამონათვლის ორი სვეტი. დაადგინეთ შესაბამისობა მათ მოცემულობათა შორის. მარცხენა სვეტის თითოეულ მონაცემს (ა, ბ, გ) შეესაბამება მარჯვენა სვეტის <u>მხოლოდ ერთი</u> მონაცემი (1, 2, 3, 4, 5). თითოეული შესაბამისობა მონიშნეთ X ნიშნით, პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში.

დავალება 23.

დაადგინეთ შესაბამისობა იტალიურ ტერმინოლოგიასა და ქართულ თარგმანს შორის:

ა) Agitato	1) ნაზი
ბ) Cantabile	2) მსუბუქი
გ) Maestoso	3) მღელვარე
	4) მღერადი
	5) მედიდური

დავალება 24.

დაადგინეთ შესაბამისობა ქართულ ხალხურ სიმღერებსა და საქართველოს კუთხეებს შორის:

ა) „ლილე“	1) გურია
ბ) „ხასანბეგურა“	2) სამეგრელო
გ) „ჩაკრულო“	3) სვანეთი
	4) კახეთი
	5) იმერეთი

დავალება 25.

დაადგინეთ შესაბამისობა მუსიკალურ სტილებსა და კომპოზიტორებს შორის:

ა) იმპრესიონიზმი	1) ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი
ბ) კლასიციზმი	2) ფრიდერიკ შოპენი
გ) რომანტიზმი	3) იანის ქსენაკისი
	4) კლოდ დებიუსი
	5) იოჰან სებასტიან ბახი

დავალებები 26 - 28.

„ჭეშმარიტია - მცდარია“

<u>ინსტრუქცია</u>. განსაზღვრეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება; თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა X ნიშნით; ასეთ შემთხვევაში, კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ; თუკი ჩათვლით, რომ დებულება მცდარია, შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით და გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი განმარტება.

მცდარი დებულების შემთხვევაში, მოცემულ განმარტებას შეუსაბამეთ სწორი ტერმინი/სიტყვა ან მოცემული ტერმინი/სიტყვისათვის დაწერეთ სწორი განმარტება.

<u>გაითვალისწინეთ</u>, რომ არ მიიღება პასუხი, სადაც მოცემული განმარტების დადებითი ფორმა შეიცვლება უარყოფითით და პირიქით.

დავალება 26.

ქართული ხალხური სიმღერა „ნადური“ არის სუფრული ჟანრის სიმღერა.

დავალება 27.

უნისონი არის ერთი და იმავე სიმაღლის მუსიკალური ბგერის, ორი ან მეტი ხმის ან საკრავის მიერ, ერთდროული შესრულება.

დავალება 28.

„ძლისპირი“ - ეწოდება კანონის თითოეული გალობის პირველ სტროფს, რომელიც სხვა სტროფების რიტმულ-მელოდიურ მოდელს წარმოადგენს.

დავალებები 29 – 30.

ქრონოლოგიის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დაალაგეთ ჩამონათვალი ქრონოლოგიურად, უძველესიდან უახლესისაკენ, აღნიშნეთ ციფრებით 1-დან 4-მდე და პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში, ანბანის თითოეული ასოს შესატყვისად, ჩაწერეთ შერჩეული ციფრი.

დავალება 29.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ მუსიკალური მიმდინარეობები:

ა) ბაროკო

ბ) იმპრესიონიზმი

გ) კლასიციზმი

დ) რომანტიზმი

დავალება 30.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქართველი პიანისტები, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდის მიხედვით:

ა) ალექსანდრე კორსანტია

ბ) ელისო ვირსალაძე

გ) ალოიზ მიზანდარი

დ) ლექსო თორაძე